საქმე №სპ-15-17 **20 დეკემბერი, 2017 წელი**

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: მაია ვაჩაძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი, ვასილ როინიშვილი

სხდომის მდივანი - მ. გ-ა

საჩივრის ავტორი – ხულოს რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე - ზ. გ.

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები – საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებები

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის - კ. მ-ს №1188 წერილის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის წინასწარი შემოწმების შედეგად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის - ზ. გ-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რომლის საფუძველი გახდა ზემოაღნიშნული კანონის მე-

2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსამართლის მიერ ნ. ა-ს სისხლის სამართლის საქმეზე დარღვეულ იქნა სსსკ-ის 513-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, მითითებული ნორმის საფუძველზე მოსამართლეს მსჯავრდებული (რომელსაც სასჯელის ზომა შეეცვალა პირობითი მსჯავრით) დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინა დარბაზიდან მაშინ, როცა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა დატოვებულ იქნა უცვლელად. მოსამართლემ, მითითებული შეცდომის გამოსწორების მიზნით, მიღებული დადგენილება (2004 წლის 15 სექტემბერი) ციხის ადმინისტრაციაში გააგზავნა ფოსტით. მას განაჩენში დარღვევის აღმოჩენისთანავე უნდა გამოესწორებინა იგი და ეზრუნა უკანონო პატიმრობაში მყოფი პირის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. რეალურად ნ. ა-ე ციხიდან გათავისუფლდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლე დაუკავშირდა ციხის ადმინისტრაციას (2004 წლის 23 სექტემბერს). ამ დროისთვის განსასჯელი ნ. ა-ე უკანონო პატიმრობაში იყო უკვე 14 დღის განმავლობაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსამართლე ზ. გ. მიცემულ იქნა დისციპლინურ პასუხისგებაში ზემოაღნიშნული დისციპლინური გადაცდომისათვის.

მოცემულ საქმეზე 2004 წლის 18 ნოემბერს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე - ზ. გ. ცნობილ იქნა ბრალეულად ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, რისთვისაც მას დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივი უფლებამოსილებებისგან ჩამოცილება.

სადისციპლინო კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ - ზ. გ-მ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ადმინისტრაციული სახდელის მოხსნა.

აღნიშნულ საჩივარზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს მიერ 2005 წლის 27 იანვარს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სადისციპლინო კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასარჩელო წესით, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ზ. გ-მ და მოითხოვა სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

მითითებული სარჩელი ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის განჩინებით გადაგზავნილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 74^1-ე მუხლის შესაბამისად.

2005 წლის 10 აპრილს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის - ზ. გ-ს მიერ შეტანილ იქნა კიდევ ერთი, დაზუსტებული საჩივარი, რომლითაც მან მოითხოვა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის და სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ მოტივით, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 74^3-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იყო სამართლებრივი პროცედურების არსებითი დარღვევით, კერძოდ, სადისციპლინო საბჭომ ზ. გ-ს საჩივარი განიხილა ერთთვიანი ვადის დარღვევით. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიეღო პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში. ამდენად, კოლეგიის სხდომაზე მონაწილე პირებს არ ჰქონდათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ სადისციპლინო საბჭოს სხდომაზე საჩივრის განხილვაში, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იყო მათ მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 მაისის სხდომაზე სასამართლოს მიერ მოსამართლისათვის განმარტებულ იქნა მისი ვალდებულება სასარჩელო განცხადების საჩივრად ტრანსფორმირების თაობაზე. აღნიშნული მითითების შესაბამისად, ზ. გ-ს მიერ 2005 წლის 19 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოტანილ იქნა საჩივარი, რომლითაც მოითხოვა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის ავტორის მითითებით, სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულია კანონის დარღვევით, კერძოდ, სახეზეა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 74^3-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა, საქმე განხილულია სამართლებრივი პროცედურების არსებითი დარღვევით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ და კანონის მე-2 მუხლის შენიშვნის 1-ლი პუნქტის სანქციები რადიკალურ

შეუსაბამობაშია პროცესის მონაწილის, ან მესამე პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისადმი მოსამართლის მოქმედების გამო ზიანის მიყენებასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით, ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის - ზ. გ-ს საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სადისციპლინო საბჭოს.

სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის - ზ. გ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად იქნა დატოვებული სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება.

მითითებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში გაასაჩივრა მოსამართლე ზ. გ-მ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სადისციპლინო საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის - ზ. გ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სადისციპლინო კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველ საქმეში საჩივრის საფუძველს წარმოადგენდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 74^3-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებები, კერძოდ, საქმე განხილული იყო სადისციპლინო საბჭოს ისეთი შემადგენლობის მიერ, რომლის წევრი (წევრები) უნდა ჩამოცილებოდა საქმის განხილვას, აქედან გამომდინარე, საქმე განხილულ იქნა სამართლებრივი პროცედურების არსებითი დარღვევით. სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არც ერთი ამ საფუძვლით დასაბუთებული არ იყო, რამდენადაც საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა განმარტებული, რაში გამოიხატა ზემოაღნიშნული საფუძვლებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების არაკანონიერება, რაში მდგომარეობდა საბჭოს წევრების ჩამოცილების საფუძველი და საბჭოს მიერ სამართლებრივი პროცედურების არსებითი დარღვევა.

სადისციპლინო კოლეგიამ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ მოსამართლის მიერ ნ. ა-ს სისხლის სამართლის საქმეზე დარღვეულ იქნა სსსკ-ის 513-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. მითითებული ნორმის საფუძველზე, მოსამართლეს მსჯავრდებული (რომელსაც სასჯელის ზომა შეეცვალა პირობითი მსჯავრით) დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინა დარბაზიდან მაშინ, როცა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა დატოვებულ იქნა უცვლელად. გარდა ამისა,

მოსამართლემ, მითითებული შეცდომის გამოსწორების მიზნით, მიღებული დადგენილება (2004 წლის 15 სექტემბერი) ციხის ადმინისტრაციაში გააგზავნა ფოსტით. მას განაჩენში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გამოესწორებინა იგი და ეზრუნა უკანონო პატიმრობაში მყოფი პირის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. თუმცა, რეალურად ნ. ა. ციხიდან გათავისუფლდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლე დაუკავშირდა ციხის ადმინისტრაციას (2004 წლის 23 სექტემბერს). ამ დროისთვის განსასჯელი ნ. ა. უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა უკვე 14 დღის განმავლობაში. ამდენად, სადისციპლინო კოლეგიამ სრულად გაიზიარა სადისციპლინო საბჭოს მსჯელობა, რომ განსასჯელისთვის მიყენებული ობიექტური ზიანი სახეზე იყო, მიუხედავად იმისა, თავად რა დამოკიდებულება (სუბიექტური) ჰქონდა განსასჯელს მიყენებული ზიანის მიმართ. შესაბამისად, სახეზე იყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, საერთაშორისო კანონმდებლობისა და კონსტიტუციის უხეში დარღვევა, რამაც შედეგად პირის უკანონო პატიმრობა გამოიწვია და რაც დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის 2.2. მუხლის შენიშვნის დეფინიციის კონტექსტში კანონის უხეში დარღვევის სახით კვალიფიცირდებოდა.

სადისციპლინო კოლეგიამ ასევე ვერ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოტივაცია იმ ნაწილში, რომ სადისციპლინო საბჭომ, მისი მიკერძოებულობიდან და არაობიექტურობიდან გამომდინარე, არ მისცა საშუალება მოსამართლე ზ. გ-ს მომზადებულიყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რამდენადაც სადისციპლინო საბჭომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებიდან უმოკლეს ვადაში ჩანიშნა სხდომის დღე და უზრუნველყო მასში მხარეთა მონაწილეობა, სადაც მათ სხდომის თავმჯდომარის მიერ თავიდანვე განემარტათ შუამდგომლობის აღძვრის უფლება. აღნიშნულის მიუხედავად, სხდომის გადადების შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ მოსამართლე ზ. გ. მომზადებული არ იყო სხდომისთვის და სათანადოდ არ იცნობდა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას, მის მიერ დაყენებული არ ყოფილა. უფრო მეტიც, ახსნა-განმარტებების მიცემის ეტაპზე მოსამართლე ზ. გ. დაეთანხმა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოცემულ ძირითად გარემოებებს და არც ამ შემთხვევაში გამოუთქვამს პრეტენზია მათი არცოდნის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადისციპლინო კოლეგიამ სრულად გაიზიარა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსამართლე ზ. გ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეშ დარღვევას, რისთვისაც მას მართებულად დაეკისრა დისციპლინური სახდელი - **მოსამართლის თანამდებობიდან ჩამოცილება**. შესაბამისად, მისი საჩივარი იყო უსაფუძვლო და იგი დაკმაყოფილებული ვერ იქნებოდა.

ზ. გ-მ 2017 წლის 10 ნოემბერს განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას და აღნიშნა, რომ 2003 წლის 30 ოქტომბერს იგი დაინიშნა ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 10 წლის ვადით. 2004

წლის 18 ნოემბერს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რაც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილება ზ. გ-მ გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, რომელმაც 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მისი საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სადისციპლინო საბჭოს. სადისციპლინო საბჭომ, თავის მხრივ, 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა ზ. გ-ს საჩივარი და უცვლელად დატოვა სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება. სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება ზ. გ-ს მიერ გასაჩივრდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, რომელმაც 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა საჩივარი და უცვლელად დატოვა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ზ. გ-მ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები გაასაჩივრა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, რომელმაც 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა საქართველოს მხრიდან. აღნიშნულმა სასამართლომ აანაზღაურა მხოლოდ მორალური ზიანი და ხარჯები.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ *საქმეში - „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლომ უკვე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა წინამდებარე საქმის მსგავს სიტუაციაში - მომჩივნის დისციპლინური სახდელის საკითხის განხილვა სადისციპლინო საბჭოს ერთი და იმავე წევრების მიერ, ორივე - პირველი და სააპელაციო ინსტანციის ეტაპზე“. „წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე ფაქტი ან არგუმენტი, რაც შეძლებდა მის დარწმუნებას გამოეტანა განსხვავებული დასკვნა წინამდებარე საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. განსახილველ საკითხთან მიმართებით, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით 2005 წლის 4 აგვისტოს მომჩივნის საჩივარი სადისციპლინო საბჭომ განიხილა იმავე სამი მოსამართლის შემადგენლობით, რომლებმაც საქმე განიხილეს პირველი ინსტანციის წესით და მომჩივნის შიში სადისციპლინო საბჭოს მიუკერძოებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო“.*

განცხადების ავტორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებების გაუქმება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება, ხულოს რაიონული

სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე აღდგენა და 7 წლის განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 20017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით, ზ. გ-ს განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებით ხულოს რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის - ზ. გ-ს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება და მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებები უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე - ზ. გ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რაც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილება ზ. გ-მ გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, რომელმაც 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სადისციპლინო საბჭოს. სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის - ზ. გ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად იქნა დატოვებული სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ზ. გ-მ კვლავ გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, რომელმაც 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით უცვლელად დატოვა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება.

საქმის მასალებით, დადგენილია, რომ ხულოს რაიონული სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ - ზ. გ-მ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა საქართველოს მხრიდან. აღნიშნულმა სასამართლომ აანაზღაურა მხოლოდ მორალური ზიანი და ხარჯები.

განცხადების ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხულოს რაიონული სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ - ზ. გ-მ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებების გაუქმება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება, ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე აღდგენა და 7 წლის განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

სადისციპლინო პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით (კანონის ანალოგია) მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.

2017 წლის 20 დეკემბრის სადისციპლინო პალატის სხდომაზე ხულოს რაიონული სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ - ზ. გ-მ დააზუსტა მოთხოვნა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებების გაუქმება მოითხოვა.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ იმ დროს (2004-2005წწ.) მოქმედი დისციპლინური კანონის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა და პასუხისმგებლობის დაკისრება მიმდინარეობდა შემდეგი თანმიმდევრობით: თავდაპირველად, მოსამართლის მიმართ დევნას აღძრავდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც დევნის აღძვრის შემთხვევაში საქმეს უგზავნიდა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიას, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობასა და სახდელს აკისრებდა მოსამართლეს. აღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრდებოდა მოსამართლის მიერ, რაზეც გადაწყვეტილებას

იღებდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც სხვა წევრებთან ერთად სადისციპლინო კოლეგიის წევრებიც შედიოდნენ. 2005 წლის 25 თებერვალს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებით დადგინდა, რომ სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულიყო მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს მოცემული დისციპლინური საქმის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების ძირითად საფუძველზე, რასაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევა. კერძოდ, საჩივრის ავტორი მიუთითებს სადისციპლიონო კოლეგიასა და სადისციპლინო საბჭოში საქმის განხილვისას „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 74^3-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევაზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიღებულად ჩაითვლება, თუ საქმე განხილულია ისეთი შემადგენლობის მიერ, რომლის წევრი (წევრები) უნდა ჩამოცილებოდა საქმის განხილვას ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით კი დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვისას ადგილი არ ჰქონია ზემოაღნიშნული კანონის 74^3-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას, რადგან სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს მიერ მოცემული დისციპლინური საქმე განხილულ იქნა კანონიერი შემადგენლობით. ამასთან, საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა განმარტებული, რაში გამოიხატა ზემოაღნიშნული საფუძვლებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების არაკანონიერება, რაში მდგომარეობდა საბჭოს წევრების ჩამოცილების საფუძველი და საბჭოს მიერ სამართლებრივი პროცედურების არსებითი დარღვევა.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ზ. გ-მ სწორედ მითითებული საფუძვლით გაასაჩივრა სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის, სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის, სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოსა და უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაადგინა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა იმ საფუძვლით, რომ სადისციპლინო კოლეგიის ის წევრები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, სადისციპლინო საბჭოში იღებდნენ მონაწილეობას იმავე საქმეზე. მითითებული ნორმით დადგენილია, რომ „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე, კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, დროის

განსაზღვრულ ვადაში“. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ *საქმეში - „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლომ უკვე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა წინამდებარე საქმის მსგავს სიტუაციაში - მომჩივნის დისციპლინური სახდელის საკითხის განხილვა სადისციპლინო საბჭოს ერთი და იმავე წევრების მიერ, ორივე - პირველი და სააპელაციო ინსტანციის ეტაპზე“. „წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე ფაქტი ან არგუმენტი, რაც შეძლებდა მის დარწმუნებას გამოეტანა განსხვავებული დასკვნა წინამდებარე საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. განსახილველ საკითხთან მიმართებით, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით 2005 წლის 4 აგვისტოს მომჩივნის საჩივარი სადისციპლინო საბჭომ განიხილა იმავე სამი მოსამართლის შემადგენლობით, რომლებმაც საქმე განიხილეს პირველი ინსტანციის წესით და მომჩივნის შიში სადისციპლინო საბჭოს მიუკერძოებლობის ნაკლებობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო“.*

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონში 2005 წლის 25 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად, შეიცვალა ამავე კანონის III თავის დასახელება და დისციპლინური საქმეების განმხილველ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია. ამდენად, დღეს მოქმედი რედაქციით, კერძოდ, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სადისციპლინო პალატა ასევე მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, უნდა გაუქმდეს როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის, ისე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებები. მართალია, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას მიკერძოების საკითხი არ დაურღვევია, თუმცა 2005 წლის 25 თებერვალს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით დადგინდა, რომ სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს გადაწვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში საკასაციო წესით, ხოლო 2005 წლის 25 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, დისციპლინური საქმეების განმხილველ ორგანოდ განისაზღვრა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია. ამდენად,

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ხულოს რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის - ზ. გ-ს დისციპლინური საქმე ხელახლა უნდა განიხილოს მითითებულმა კოლეგიამ.

რაც შეეხება დავის არსებით მხარეს, დადგენილია, რომ მოსამართლის მიერ ნ. ა-ს სისხლის სამართლის საქმეზე დარღვეულ იქნა სსსკ-ის 513-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, მითითებული ნორმის საფუძველზე მოსამართლეს მსჯავრდებული (რომელსაც სასჯელის ზომა შეეცვალა პირობითი მსჯავრით) დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინა დარბაზიდან მაშინ, როცა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა დატოვებულ იქნა უცვლელად. მოსამართლემ, მითითებული შეცდომის გამოსწორების მიზნით, მიღებული დადგენილება (2004 წლის 15 სექტემბერი) ციხის ადმინისტრაციაში გააგზავნა ფოსტით. მას განაჩენში დარღვევის აღმოჩენისთანავე უნდა გამოესწორებინა იგი და ეზრუნა უკანონო პატიმრობაში მყოფი პირის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე. თუმცა, რეალურად ნ. ა. ციხიდან გათავისუფლდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლე დაუკავშირდა ციხის ადმინისტრაციას (2004 წლის 23 სექტემბერს). ამ დროისთვის განსასჯელი ნ. ა. უკანონო პატიმრობაში იყო 14 დღის განმავლობაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით სადიციპლინო პალატა განმარტავს, რომ მოცემული დისციპლინური საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ დაშვებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა. ამ შემთხვევაში, ევროპის სასამართლომ დისციპლინურ საქმეზე დაადგინა მხოლოდ პროცესუალური დარღვევა, რის გამოც განახლდა საქმის წარმოება ზ. გ-ს დისციპლინურ საქმეზე. ამდენად, სადისციპლინო პალატამ იმსჯელა მხოლოდ დავის პროცესუალურ მხარეზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. გ-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და დავა ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-60, 65-ე, 68-ე მუხლებით, 69-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ხულოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის - ზ. გ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: /მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები: /ეკატერინე გასიტაშვილი/

/ვასილ როინიშვილი/